საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-81

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

„წყლის მიწოდების რეჟიმის განსაზღვრის წესისა და მორწყვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 30 აგვისტოს №2-686 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„წყლის მიწოდების რეჟიმის განსაზღვრის წესისა და მორწყვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 30 აგვისტოს №2-686 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/08/2023; სარეგისტრაციო კოდი: 400020000.22.023.016830) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „წყლის მიწოდების რეჟიმის განსაზღვრის წესისა და მორწყვის ნორმების“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. მორწყვის ნორმები და ჯერადობა

სარწყავი მიწისთვის მისაწოდებელი წყლის მოცულობის გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მორწყვის საშუალო ჯერადობა განისაზღვრება წელიწადში ოთხჯერადად, ხოლო ერთი ჰექტარი სარწყავი მიწის ერთჯერადი მორწყვის ნორმაა:

ა) ერთწლოვანი კულტურებისთვის – 1411 მ^3;

ბ) მრავალწლოვანი კულტურებისთვის – 1235 მ^3.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით სონღულაშვილი**